



კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, III-IV კლასი, N2

ცხოველების მიგრაცია

წარმოიდგინე, ყოველ ზამთარს სხვა ქვეყნებში რომ მიდიოდე საცხოვრებლად. სწორედ ასე იქცევა ზოგიერთი ცხოველი. ისინი ყოველწლიურად უზარმაზარ მანძილს გადიან, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან. ასეთ მოგზაურობას ცხოველთა **მიგრაციას** უწოდებენ. მიგრაცია ხშირად ამინდების გაუარესების დროს იწყება. ბევრი ცხოველი საგანგებოდ ემზადება მიგრაციისთვის. ისინი ენერგიას იზოგავენ და კუნთებსაც ივარჯიშებენ, რათა მგზავრობისას ძალა არ გამოეღიოთ.

რატომ მიდიან ცხოველები მიგრაციაში? ზოგიერთი სიტბოს ეძებს, ზოგი – საკვებსა და წყალს, ზოგი კი – უსაფრთხო ადგილს შთამომავლობის გასაგრძელებლად.

ჩრდილოეთის ირმები (კარიბუები) **ტუნდრაში** ცხოვრობენ. ყოველ ზამთარს სამხრეთით, მარადმწვანე ტყეებს მიაშურებენ და იქ შობენ ნუკრებს. გზად ერთი წუთითაც კი არ ჩერდებიან. ტყე მათ ცივი ქარებისაგან იცავს. გარდა ამისა, იქ საკვებიც საკმარისად აქვთ. ხმელეთის ცხოველებს შორის ეს ყველაზე დიდი მიგრაციაა და 3000 კილომეტრამდე მანძილს მოიცავს.



ტუნდრა არის დედამიწის არქტიკული ზონის ნაწილი. იქ არ არის ტყეები. მთელი წლის განმავლობაში ძალიან ცივა და მინა თოვლითაა დაფარული.

საიმპერატორო პინგვინები მიგრაციაში თავიანთი ბარტყების გადასარჩენად მიდიან. ეს პინგვინები შთამომავლობის აღსაზრდელად წელიწადის ყველაზე ცივ პერიოდსა და დედამიწის ყველაზე ცივ მხარეს, ანტარქტიდას, ირჩევენ. ზღვის ნაპირიდან მოშორებით, ხმელეთის სიღრმეში დებენ კვერცხებს. ასე იცავენ მშობლები ბარტყებს მტაცებლებისგან.

მდედრი ზღვის კუ ათასობით კილომეტრს გადის კვერცხების დასადებად. ის ზუსტად იმ ადგილას დებს კვერცხებს, სადაც ადრე თვითონ გამოიჩეკა.

სამეფო პეპლებიც ათასობით კილომეტრს გადაიფრენენ და ზუსტად იმ ხეზე სხდებიან, რომელზეც მათი წინაპრები ბუდობდნენ.

კალიფორნიის რუხ ვეშაპებს ძუძუმწოვრებს შორის ყველაზე გრძელი მოგზაურობა ელით. წლის განმავლობაში მათ 20000 კილომეტრი უნდა გაცურონ.

განსაკუთრებულია ორაგულების მიგრაცია, რადგან ეს მათ ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ორაგული მტკნარ წყალში

გაგრძელება მე-2 გვ.

ქვირითობს. როცა მდინარეში გამოჩეკილი ლიფსიტები იზრდებიან, ისინი მდინარის დინებას დაბლა დაუყვებიან ზღვისკენ და ცხოვრების დანარჩენ ნაწილს ზღვაში ატარებენ. როცა ქვირითობის დრო დგება, კვლავ საკუთარი დაბადების ადგილს უბრუნდებიან, რისთვისაც დინების აღმა უწევთ სვლა. ზოგიერთი ორაგული მდინარეში ასობით კილომეტრს გადის ქვირითის დასადებად. ქვირითის დადების შემდეგ ორაგულები მალევე ილუპებიან.


მიგრაციის დროს ცხოველმა შეიძლება ათასობით კილომეტრი გაიაროს. საოცარია, როგორ ხვდებიან ცხოველები, როდის და საით უნდა გაემგზავრონ? ან როგორ პოულობენ ასე ზუსტად ყოველ წელს უკან დასა-

ბრუნებელ გზას? მათ ხომ არც რუკა აქვთ, არც კომპასი და არც GPS? ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ცხოველებს დაბადებიდანვე თან დაჰყვებათ **მიგრაციის** მარშრუტი. მათი აზრით, ეს ინფორმაცია მათ მშობლებისგან გენებით გადაეცემათ. სხვები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ნიშანი ეხმარება ცხოველებს ამაში. ძირითადად, ესაა სეზონური ცვლილებები ამინდში, დღის ხანგრძლივობა, მოპოვებული საკვების რაოდენობა და ა.შ.

ზოგადად, როგორც ჩანს, სხვადასხვა ცხოველს *დედამინაზე ნავიგაციის* სხვადასხვა მეთოდი აქვს. ზოგიერთი მზესა და ვარსკვლავებს იყენებს, ზოგი ქარის მოძრაობას და გეოგრაფიულ ადგილებს: მთებს, მდინარეებს, ტბებს და ა. შ. თუმცა, ცხოველთა ნავიგაციის საიდუმლო ჯერ კიდევ შესასწავლია.

დავალებები

თუ ამ ნომრის პირველი სტატია წაიკითხე, თავსატეხს ადვილად შეავსებ. სტრიქონებში ჩასაწერი ყველა სიტყვა სტატიაში გვხვდება. თითო უჯრაში თითო ასო უნდა ჩაწერო. თუ უჯრებს სწორად შეავსებ, ერთ-ერთ სვეტში სტატიის საკვანძო სიტყვას მიიღებ.



აი, გამოსაცნობი სიტყვებიც. გაითვალისწინე, რომ ისინი არეული თანმიმდევრობითაა მოცემული.

- ჩრდილოეთის ირემი
- ადგილმდებარეობისა და გზის ზუსტად განსაზღვრა
- ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი
- ხელსაწყო, რომლითაც შესაძლებელია დედამინის მხარეების დადგენა
- თევზის კვერცხი
- დედამინის არქტიკული ზონის ნაწილი, სადაც ტყეები არ არის და ძალიან ცივა
- ანტარქტიდის ფრინველი
- თევზი, რომელიც შთამომავლობის გასაგრძელებლად ზღვიდან მდინარეში ბრუნდება

ილბლიანი რიცხვები

ჯილ ჰოვარდის სტატიის მიხედვით

ზოგჯერ ადამიანები განსაკუთრებულ რიცხვს აირჩევენ ხოლმე. თუკი რიცხვი მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება, მას ილბლიანად მიიჩნევენ ხოლმე. მაგალი-

თად, რიცხვი 8 ბედნიერების მომტანია ჩინეთში. სიტყვა „რვა“ ჩინურად ისევე ჟღერს, როგორც სიტყვა „სიმდიდრე“.

შენ ხომ არ გაქვს საყვარელი რიცხვი? რით არის იგი შენთვის გამორჩეული?

ბევრი ადამიანისთვის საყვარელი რიცხვებია 5 და 7. მათ ხომ თითქმის ყველგან ვხვდებით: ბუნებაში, ისტორიაში, ზღაპრებსა და მულტფილმებში!

ჯადოსნური 5-იანი

ხუთი მეტად საინტერესო რიცხვია. იგი ბევრგან გვხვდება ბუნებაში. ადამიანს 5 შეგრძნება აქვს: მხედველობა, ყნოსვა, გემო, შეხება და სმენა. ხელზე 5 თითია. ზოგიერთ უცნაურ არსებას, მაგალითად, ზღვის ვარსკვლავს, 5 ქიმი აქვს. ძველ ბერძნებს სწამდათ, რომ სამყარო 5 ძირითადი ელემენტისგან შედგება. ესენია: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი და ზეციური ეთერი.



სუპერ 7-იანი

შვიდი ასევე გამორჩეული რიცხვია. ჩვენთვის ცნობილია მსოფლიოს შვიდი საოცრება. ეს უძველეს დროში ადამიანის მიერ შექმნილი შედეგებია. მათგან დღეს მხოლოდ ერთი შემორჩა – გიზის დიდი პირამიდა ეგვიპტეში. ქალაქი რომი გაშენებული იყო 7 ბორცვზე. მუსიკალური ოქტავა შედგება 7 ნოტისგან. ცისარტყელაში 7 ძირითადი ფერია.



ახლა თქვენი ჯერია!

1. სცადეთ, იქნებ თქვენც მოიფიქროთ სხვადასხვა რამ თქვენი საყვარელი რიცხვის შესახებ. თუ 5 ან 7 აირჩიეთ, გაიხსენეთ ისეთი რამ, რაც ზემოთ არ გვიხსენებია. მაგალითად, კალათბურთის გუნდში 5 მოთამაშეა... კიდევ რა გაგონდებათ?
2. ახლა დაიწყეთ ერთიდან და განაგრძეთ დათვლა. თითოეულ ციფრზე გაიხსენეთ მიზეზები, რის გამოც განსაკუთრებულად მიგაჩნიათ ესა თუ ის რიცხვი.

აი, რამდენიმე მაგალითი:

1 ჩემპიონთა რიცხვია. ეს ციფრი გამოსახულია ოქროს მედალზე.

საქართველოს დროშაზე 2 ფერია.

ტრიოში 3 მუსიკოსი ან მომღერალია.

ჰორიზონტის 4 მხარეა: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი.

პირამიდას 5 წვერო აქვს.

კამათელზე 6 ციფრია გამოსახული.

კვირაში 7 დღეა. და ასე შემდეგ...

მოსინჯეთ, მეგობრებისთვისაც შეადგინოთ მათემატიკური ამოცანები საყვარელ რიცხვებზე.



ზეზვა და სამი დათვი

თოვს ხვავრიელად ქედები
თოვლმა დაფარა ისევ,
შორს ქარი მიერეკება
ზამთრის გაცრეცილ ნისლებს
და ზეზვას მამა თივისთვის
ბილიკს გაუყვამთისკენ.

ზეზვა პატარა ბიჭია,
ჯერ არც იქნება ათის,
ნიგნი უყვარს და კითხულობს
და დრო ლამაზად გადის,
დევეების თავგადასავალს
იჯერებს, როგორც ნამდვილს,
უკვირს მელიას ხრიკები,
მისი საქმე და ფანდი.

თოვს ხვავრიელად ლამაზად
ბარდნის, ბარდნის და ბარდნის.
მამა არა ჩანს ელიან,
სახლში ჩამონვა დარდი.
დედა ვერ ივლის ამ თოვლში,
დედას მუხლები სტკივა,
ზეზვამ ჟურნალი დახურა,
ტანზე ჩაიცვა თბილად,
მამის ნაკვალევს გაუყვამთ,
თან ჯოხი დაიბჯინა.


შუა ფერდობზე შეჩერდა,
დიდი გზა არის მთამდე,
გაიხედა და რას ხედავს:
ცეცხლი უნთიათ დათვებს,
ბურღლუნებენ და ერთმანეთს
უტყაპუნებენ თათებს.

ზეზვა შეშინდა, იფიქრა,
დავეშვებოთ თავქვე,
მაგრამ შესძახეს დათვებმა:
„არაფერს გავნებთ, გნამდეს,
მოდით და გათბი კოცონთან,
გიაშობთ ახალ ამბებს.“
ზეზვაც მივიდა, უამბო,
დარდი რომ ჰქონდა მამის,
დათვები დინჯად წამოდგნენ
(რამდენი დათვი? სამი!),
ზეზვას გაუძღვნენ აღმართზე,
დარჩათ ვეება კვალი.

იარეს, უცებ ხედავენ
(თვალეებს არ დაუფერეს!)
გადაბრუნებულ თივას და
თივის ქვეშ კაცის ხელებს.
„მამა! – ზეზვამ იყვირა, –
მიშველეთ! მიეშველეთ!“
დათვებმა თივა ასწიეს
და განზე გადგნენ მერე,
ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს,
ამაყად ჩაახველეს.

მამა ჯერ თოვლში შეირხა,
მერე წამოდგა ფრთხილად,
„გადავჩი, – ჩაიბუზღუნა, –
არც არაფერი მტკივა.“
მადლობა უთხრა დათუნებს,
კეთილად გაელიმა,
ზეზვა გულმკერდში ჩაიკრა,
შუბლზე აკოცა ტკბილად.
თივაზე, როგორც ციგაზე,
დასვა სამივე დათვი,
თან გვერდით ზეზვა მიუსვა,
როგორც ძმობილი მათი.
ფერდობზე ჩამოაცურა,
თოვდა, ლამაზად თოვდა,
იცინოდნენ და მღეროდნენ,
დარდი აღარა ჰქონდათ,
ისე, სიმართლე თუ გინდათ,
ზეზვას შესცივდა ცოტა.

ვაჟა ხორნაული



ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.



ჩაძირულ პავ-
ლ ო პ ე ტ რ თ ა ნ
ყველაზე ახლოსაა
ქალაქი ნეაპოლისი.
აქაური მცხოვრებ-
ნი გახარებული
არიან. „არეალზე
წარმოდგენაც არ
გვქონდა, – თქვა
ნეაპოლისის მერმა.
იუნესკომ პავ-

ლოპეტრი წყალქვე-
შა კულტურული მემკვიდრეობის დაცულ ძეგლად აღიარა.
მიუხედავად ამისა, მას მაინც ემუქრება გაძარცვისა და გე-
მების ღუბებით დაზიანების საფრთხე.

დღესდღეობით, მსოფლიოს ოკეანეების ფსკერის ძალიან
მცირე ნაწილია შესწავლილი. როგორც ჩანს, კიდევ ბევრ
წყალქვეშ გამქრალ დასახლებას აღმოაჩენენ.



ჩაძირული ქალაქები: ოპო ნეაპოლი და სომტრეპა



კითხვის ღარი

უძველესი დასახლებების დიდ ნაწილს არქეოლოგები ხმელეთზე, მიწის გათხრების საშუალებით პოულობენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უძველეს დასახლებას მხოლოდ მიწა კი არა, წყალიც ფარავს. მართლაც, არსებობს ჩაძირული დასახლებები, რომლებიც დღეს ტბების, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზეა. ამ ქალაქების ხმელეთიდან გაქრობას მიწისძვრები, ცუნამები ან სხვა კატასტროფები იწვევდა. ბევრი ასეთი ნაქალაქარი არც ისე დიდი ხანია, რაც აღმოაჩინეს. ქვემოთ წაიკითხავთ ორი ჩაძირული ქალაქის: **კლეოპატრას ალექსანდრიისა და პავლოპეტრის** შესახებ.

კლეოპატრას ალექსანდრია. ეპიკოპე


კლეოპატრას ალექსანდრია დიდი და ძლიერი ქალაქი იყო. დიდი ხნის მანძილზე ის დაკარგულ ქალაქად ითვლებოდა. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ლეგენდები მოგვითხრობდნენ. მაგრამ, აი, 1998 წელს თანამედროვე ალექსანდრიის სანაპიროსთან არქეოლოგებმა წყალქვეშ ძველი ქალაქის ნანგრევებს მიაგნეს. როგორც ჩანს, ეს დასახლება მიწისძვრის შედეგად ჩაიძირა. საჩქაროდ დაიწყეს გათხრები. შლამის სქელი ფენიდან დიდი ზომის მონუმენტები გამოთხარეს. ისინი ამდენი ხნის მერეც კი მყარად იდგა ზღვის ფსკერზე. ისტორიკოსებმა ასევე აღმოა-

ჩინეს სვეტები, სფინქსის ქანდაკებები, ტაძრები. იპოვეს იმ დასახლების საძირკველიც, რომელიც სავარაუდოდ, თავად კლეოპატრას ეკუთვნოდა.



კლეოპატრა ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონი იყო. ის ძალიან ჭკვიანი, განათლებული მოხერხებული ქალი ყოფილა. 17 წლის იყო, როცა ეგვიპტის დედოფალი გახდა. ზოგი ამბობს, რომ იგი ძალიან ლამაზი იყო, თუმცა ყველა არ ეთანხმება ამას. უძველეს მონეტებზე იგი გრძელი ცხვირითაა გამოსახული. მიუხედავად ამისა, მას ჰქონია ძალიან ნაზი ხმა და მომაჯადოებელი თვალები. კლეოპატრას დროს ეგვიპტე რომის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა. კლეოპატრამ რთულ პერიოდში შეძლო ტახტის შენარჩუნება. მან ბოლომდე იბრძოლა და როდესაც ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, თავი მოიკლა.

დღემდე ამ ჩაძირული ქალაქიდან ხელოვნების ასზე მეტი ნიმუშია ამოთხრილი. გათხრები დღესაც გრძელდება. ამჟამად არქეოლოგები ფიქრობენ, რომ წყალქვეშა ქალაქი-მუზეუმი დააარსონ. ნარმოიდგინე, წყალში ჩაყვინთავ და მუზეუმში აღმოჩნდები!



პალეოენის ქალაქი პავლოპეტრი. საბერძნეთი

დღესდღეობით, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ჩაძირულ ქალაქთა შორის პავლოპეტრი უძველესია. იგი დიდი ხნის წინ მიწისძვრის შედეგად ჩაძირულა. მისი ქუჩების, ეზოებისა და შენობების უმეტესობა, ძირითადად, ათასწლეულების წინანდელი სახით შემორჩენილია.

2009 წელს არქეოლოგებმა პირველად შეადგინეს პავლოპეტრის რუკა. საოცარია, რომ ქალაქი ძალიან დიდ ფართობზე ყოფილა გადაჭიმული.

ერთი ქვისმთლელის ამბავი

იყო ერთი ქვისმთლელი. ყოველდღე დადიოდა მთაში და წერაქვით ქვებს თლიდა. შრომის დროს მღეროდა. კმაყოფილი იყო იმით, რაც ჰქონდა და არაფერზე ღელავდა.

ერთხელაც ერთმა მდიდარმა კაცმა ქვისმთლელს სამუშაო შესთავაზა. ნახა მისი სიმდიდრე ქვისმთლელმა და თვითონაც ფუფუნებაში ცხოვრება მოუნდა.

უეცრად საიდანლაც ხმა მოესმა: გინდა გახდე უფრო ბედნიერი? დღეიდან ყველა სურვილი აგისრულდება!

ქვისმთლელი სადამოს თავის ქოხში დაბრუნდა, მაგრამ ქოხის ნაცვლად ულამაზესი სასახლე დახვდა. მიატოვა წერაქვი და მდიდრული ცხოვრება დაიწყო.

ზაფხულის ცხელ დღეს ქვისმთლელმა სასახლის სარკმელი გამოაღო და არემარეს გადახედა. სწორედ ამ დროს მის სასახლეს ხელმწიფემ ჩაუარა თავისი ამალით. ქვისმთლელმა იფიქრა: ნეტავ, ხელმწიფე ვიყო! ეტლით ვიმოგზაურებდი და ზაფხულის საშინელი სიცხე სულაც არ შემანუხებდა.



უცებ ქვისმთლელი ხელმწიფედ იქცა და ეტლში ამოყო თავი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეტლში სულაც არ გრილოდა. ქვისმთლელმა ეტლიდან თავი გამოყო და მზეს ახედა.

– რა ძლიერია მზე. მისი სხივები მეფის ეტლშიც კი აღწევს! მზე მინდა ვიყო, – თქვა და უცბად მზედ გადაიქცა. გადმოხედა დედამიწას და თბილი სხივები მოჰვინა.

უეცრად ცაზე ღრუბელი გამოჩნდა და მზეს გადაეფარა.

– ერთი ამ ღრუბელს დამიხედეთ, რა ძლიერი ყოფილა! ჩემს სხივებს დედამიწამდე არ უშვებს, – თქვა და ახლა ღრუბლად გადაიქცა ქვისმთლელი. ბედნიერი იყო, რადგან თვით მზეს ჩრდილავდა.

ცოტა ხანში ღრუბელი მთას მიადგა და გაჩერდა. ცდილობდა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ იძვროდა.

– როგორ, მთა ღრუბელზე ძლიერია?! – წამოიყვირა ქვისმთლელმა და ახლა მთად გადაქცევა მოინდომა.

ის იყო, მთად უნდა ქცეულიყო, რომ სიმღერის ხმა შემოესმა. ქვემოთ, მთის ძირას, ვიღაც ქვისმთლელი მუშაობდა. დიდ ლოდებს აცლიდა მთას და თან მღეროდა.

ღრუბელმა თვალები დახუჭა, სურვილი ჩაიფიქრა და ისევ ქვისმთლელად იქცა.



კოლაჟი ხელოვნების ნიმუშია. ის ქალაქის ან მუყაოს ბრტყელ ზედაპირზე სხვადასხვა მასალის დანებებით კეთდება. სიტყვა კოლაჟი ფრანგული ენიდან მოდის, „coller“ დანებებას ნიშნავს. დასაკრავი მასალის სახით იყენებენ ფერად ქაღალდს, ფოტოსურათებს, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ დეტალებს, ლენტებს, ლილბებსა და სხვ. შესაძლებელია ელექტრონული კოლაჟის გაკეთებაც. კოლაჟის შექმნა შეიძლება რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების, წინასწარ მოფიქრებული იდეის ან თავისუფალი თემის გარშემო. შესაძლებელია კოლაჟის ფორმით მოთხრობის, ზღაპრის ან ლექსის ილუსტრაციაც დამზადდეს. კოლაჟის შექმნა დამოუკიდებლად შეგიძლიათ და ჯგუფურადაც. ამ სტატიაში ნაიკითხავთ კონკრეტულ რჩევებს კოლაჟის შესაქმნელად.

კოლაჟის შესაქმნელად დაგჭირდებათ: ბრტყელი ზედაპირი, დასაკრავი საგნები, წებო და მაკრატელი.


შეარჩიეთ კოლაჟის თემა და ფორმა.

სასურველია, წინასწარ ჩამოაყალიბოთ თქვენი კოლაჟის თემა. თუ ილუსტრაციას აკეთებთ, მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმოები კარგად გქონდეთ ნაკითხული. გადანევიტეთ, რის დანებებას აპირებთ კოლაჟზე. ამისათვის დაგჭირდებათ სხვადასხვა მასალა: ფერადი ქაღალდი, ძაფი, ქსოვილის ნაჭრები, მარკები, ჟურნალებიდან ამოჭრილი ფურცლები, პლასტმასი, ფოლგა, პროდუქტის ეტიკეტები, ხუფები, ასანთის ღერები, საცობები, ლილბები, ბუნებრივი საგნები (ხის ქერქი ან ფოთლები, პატარა ტოტები, კვერცხის ნაჭუჭი, ნიჟარები) და სხვა. როგორც ხედავთ, არჩევანი ძალიან დიდია. მთავარია, შერჩეული საგნები ნებოთი ადვილად დამაგრდეს.

ამოარჩიეთ შესაფერისი ზედაპირი.

ზედაპირისთვის უფრო ხშირად სქელ ქაღალდს ან მუყაოს იყენებენ, თუმცა შესაძლებელია სხვა მასალის აღებაც.

მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: ტომრის ქსოვილი (ჯვალა), ძველი წიგნის ყდა, პლასტმასი და ა.შ. აქაც მთავარია, რომ შერჩეული საგნები ადვილად დანებდეს და დამაგრდეს.




მომზადეთ ზედაპირზე დასანებებელი მასალა.

შეკრიბეთ კოლაჟის ნაწილები, სანამ დანებებას დაიწყებთ. დაჭერით ან დახიეთ ქაღალდი ნაწილებად. გამოიყენეთ მაკრატელი ან საკანცელარიო დანა სხვადასხვა ფორმების მისაღებად. ეფექტისთვის შეგიძლიათ ქაღალდს კიდეები ჩამოახიოთ. ამოჭერით ჟურნალებიდან სასურველი ნაწილები: სურათები, ასოები ან მთელი სიტყვები. შეგიძლიათ სტიკერების ან დეკორატიული დეტალების გამოყენებაც. მოსინჯეთ დასანებებელი საგნების განთავსების სხვადასხვა ვარიანტები. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, თუ როგორი იქნება დასრულებული ნამუშევარი.

დაანებეთ მომზადებული საგნები კოლაჟზე.

გამოიყენეთ წებო. შეეცადეთ, ანეოთ კოლაჟი ერთი ძირითადი ნაწილის გარშემო, რომელიც თქვენი აზრით, გამორჩეული ან საინტერესოა.



გააშრეთ კოლაჟი. გადადეთ დასრულებული კოლაჟი გასაშრობად. ამას შეიძლება რამდენიმე საათი დასჭირდეს.